ოთხშაბათი, 19 სექტემ. 1907 წ.

წელიწადი პირველი—№ 264

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახავს ერთის თვით. დიდი წერილები და მოთხრობები წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»



✦ ილია ჭავჭავაძის სახალხო ბიბლიოთეკა ✦

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა შეუდგა

## ილია ჭავჭავაძის

თხზულებათა გამოცემას სახალხოდ.

ყოველი თხზულება დაიბეჭდება ცალ-ცალკე წიგნაკად ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით.

ილია ჭავჭავაძის სახალხო ბიბლიოთეკაში მოთავსდება:

1. რჩეული ლექსები
2. კაკო ყაჩაღი.
3. რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?—ბედნიერი ერი.
4. აჩრდილი.
5. დედა და შვილი.
6. განდეგილი.
7. დიმიტრი თავდადებული.
8. კაცია ადამიანი.
9. გლახის ნაამბობი.
10. ოთარაანთ ქვრივი.
11. მგზავრის წერილები.
12. გლეხთა განთავისუფლების პირველ დროების სცენები.
13. სარჩობელაზე.
14. ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი.

შემდეგში დაიბეჭდება ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები.

(3—უ.—2)

---

კავკასიის ოლქის სამთამადნო სამმართველოს

## უფროსის თანაშემწე

დ. ს. ს. მ. ი. ხენგერი ამით აცხადებს, რომ იმის თავმჯდომარეობით, თანახმად ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის განკარგულებისა, 27 სექტემბერს 1907 წელს ქუთაისში

## შესდგება მეათე |საგანგებო| კრება მარგანეცის მრეწველთა

შემდეგ საკითხების განსახილველად:

1. არჩევა საბჭოს თავმჯდომარისა.
2. უზრუნველყოფა ქუთაისის კანტორის მოსამსახურეთა ფულით ან ბინით, კანტორის გადატანის გამო ქუთაისიდან ჭიათურაში, და გადადება ფულისა კანტორის გადასატანად ქუთაისიდან.
3. უპირატესობა, რომელიც მისცა გზათა სამინისტრომ ზოგიერთ ფირმებს სხვათა საზარალოდ მარგანეცის გაზიდვის საქმეში.
4. რკინის გზის ტოტების გაყვანა. (3—6.—2)

---

## არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ საერთო ადგილობრივ მკვიდრთა კურიის კრება ქალ. ტფილისისა, ტფილისის და ბორჩალოს მაზრების ქალაქის ამომრჩევთათვის დანიშნულია 27 სექტემბრისათვის, ხოლო რუსულ კურიისა—30 სექტემბრისათვის.

არჩევნები მოხდება: კრების პირველ განყოფილებისა (1, 2 და 10 საპოლიციო ნაწილები ტფილისისა და ბორჩალოს მაზრის ქალაქის ამომრჩევთა)—ზუბალაშვილის სახელის სახალხო სახლში; მეორე განყოფილებისა (3, 4, 5 და 9 საპ. ნაწილები)—ქალაქის გამგეობის სადგომში; მესამე განყოფილებისა (6, 7 და 8 საპ. ნაწილი ტფილისსა და ტფ. მაზრა)—ვარშამოვის თეატრში (ავლაბარს); რუსულ კურიისა—ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციის ძალით, საარჩევნო ბარათი წარმოადგენს ფურცელს ან ნახევარ ფურცელს (იმისდა მიხედვით, თუ რამდენი კაცი უნდა იქნეს არჩეული) თეთრის ქაღალდისას და უნდა შედგენილი იქნას რუსულ ენაზე. საარჩევნო ბარათში აღნიშნული უნდა იყოს როგორც გვარი, სახელი და მამის სახელი ასარჩევ კაცისა, ისე წოდება და საცხოვრებელი ადგილი ან ნომერი, რომლითაც იგი აღნიშნულია სიაში. ბარათში არ უნდა იყოს არავითარი სხვა რამ ნიშანი, აგრეთვე შესწორება და წაშლილ-ამოფხეკილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბარათი გაბათილებულ იქნება. ზემოხსენებული ცნობები ასარჩევ კაცის შესახებ შეიძლება დაიწეროს, დაიბეჭდოს, როგორც ამომრჩეველსა სურს.

საარჩევნო ბარათები ამომრჩეველმა უნდა შეადგინოს ან წინ და წინ ან საარჩევნო კამისიის სადგომში. ბარათები უნდა ჩაიდოს კონვერტებში, რომელსაც ქალაქის გამგეობა დაჰგზავნის. თითო კონვერტში უნდა ჩაიდოს მხოლოდ თითო საარჩევნო ბარათი. (3—6.—3)

---

კბილის ექიმი

**ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდნვნისა. (63)

---

ექიმი

## ა. ნ. დიასამიძე

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

---

ექიმი

**ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

---

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს**. სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუზონებს და სხ. უაპერაციოდ **პროფ. ზიერის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—13)

---

ექიმი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებიო ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

---

ქუთაისში

კბილის ექიმი

**ე. დ. ნასარიძე**

იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (25—288—11)

---

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—179)

---

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—289—12)

---

ექიმი

## ივ. გომართელი

პირველ ოქტომბრიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. ტფილისში. გოლოვინის პროსპექტი სახ. თამამშევისა № 33. (25—526—7)

---

## სამასწავლებლო ინსტიტუტის

მოწაფე ამზადებს და წრთვნის ბავშვებს საშუალო სასწავ. მეხუთე კლასამდის.

თანახმაა სასყიდლად ბინა და სადილი მიეცეს.

ადრესი: ნემეცკაია ქ. № 1, ბინა № 18 (4—324—1)

---

კბილის ექიმი

**ს. გ. რომანიშვილი**

მიიღებს კბილებით ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდის და საღამ. 4—6 საათამდის.

მუხრანის ქუჩა № 11. ქალაქის სამკურნალოს გვერდით. (25—ბ.—3)

---

ელექტრონის და რენტგენის

**სამკურნალო კაბინეთი**

## მ. გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (26—6.—1)

---

**იბეჭდება** და მალე დარიგდება გასასყიდად **ახალი დასურათებული გამოცემა** «ბაქოს ქართ. ამხ. **„გალამიზა“**, შედგენილი „მიწის» რედაქციის მიერ:

## ილია ჭავჭავაძის დაკრძალვა

(კრებული იმ ნარჩევ წერილებისა, დეპეშებისა და სიტყვებისა, რაც კი წარმოთქმულა მხცოვან პოეტის მოკვლიდან დაკრძალვამდის).

უკეთუ კიდევ ვინმე ავტორს სურს ამ კრებულში მოათავსოს თავისი (მოკლე ზომიანი) თხზულება (ჯერ არსად დაბეჭდილი), უნდა მიმართოს ენკენისთვის 20-დის გიორგი სალარიძეს (Верійскій спускъ д. № 15), ან წ. კ. საზ. კანცელარიაში,—ს. ფირცხალავას.

ვთხოვთ ეგრეთვე იმ პირთ, რომელთა უკვე წარმოთქმული სიტყვები ჯერ არ დაბეჭდილა გაზეთებში, მოგვაწოდონ ამ კრებულში მოსათავსებლად. (8—6.—6)

---

**მეჩექმეთა ამხანაგობამ**

## „ნ ო ბ ა მ“

დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერაგმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო **სახელოსნო განყოფილება**, სადაც მოეპოება ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რისთვისაცა სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და სკოლების საიჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ, რომ ყოველ ტეხნიკურ საქმეს პირნათლად გავუძღვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბუდაღოვის შენობაში, № 11-ში, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.

გამგე ამხანაგობისა **ს. ბერძნიშვილი.** (20—6.—6)

---

## მღვდლობის, დიაკვნობის და მედავითნეობის

**ხარისხთა მისაღებად**

ამზადებენ ორი-სამი სასულიერო პირნი ერთად. მეცადინეობა გასტანს არა უმეტეს ხუთი-ექვსი თვისა და ღირება იგი სამღვდელოთათვის—60 მან., სამთავროებისათვის—40 მან., ხოლო სადიაკვნოებისათვის—20 მ. რაც მალე მოიყრის ათიოდე მსურველი თავს, იმდენად მალე გაიხსნება სწავლა. დაწვრილებითი პირობანი იკითხონ მღვდელ-მონაზონ **იოანესთან**, (5—323—1) დარიის მონასტერში.

---

ცნობილი

## ქალთა სამკერვალო

„SALON MODES“

სოლოლაკში, სერგეევის ქუჩაზე № 1—9 **განაგრძობს თავის მოქმედებას. ღებულობს შესაკერად ყოველ ნაირ ქალის ტანისამოსს**, იყვანს მოწაფეებს და ასწავლის ჭრა-კერვას და ქარგვას.

სამკერვალო შესდგება იმავე ოსტატებისაგან.

გამგედ სამკერვალოისა არიან:

უფროსი ოსტატი ქალ. ეკატერინე ვაშალომიძის ასული და ქალბ. რაისო თოხაძისა. (25—6.—12)

---

საზღვარ-გარეთიდან ჩამოსული

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ ტფ. საზოგადოებას, რომ გავლით ამ ქალაქში დავრჩი სულ ცოტა ხანა „ვერსალის“ სასტუმროში, № № 5 და 6.

## მ ი ს ა ნ ი

(მარჩიელი)

ანასტასია იურიევის ასული კონსტანტინიდი შეუცდომლად ცნობილობს ხელის გულზე კაცის ყოველივე წარსულს, აწმყოს და მომავალს. **რჩევის ფასი 1 მან. და მოსწავლეებისთვის 50 კაპ.** ვღებულობ დილის 9 საათ. შუადღის 1 ს-მდე და 3 საათ. 6 ს-მდე. (5—520—3)

---

## ვკისრულობ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

---

**მოითხოვეთ საუკეთესო**

## წისქვილის ქვები

ამხ. **„გეორგია“**-ს კანტორაში გოლოვინის პროსპექტზე, სახლი მანთაშოვისა № 6—ეზოში. (20—495—5)

---

**მაქვს პატივი ვაუწყო პატ. საზოგადოებას, რომ ქ. ბათუმში 1-ლი სექტემბრიდან დავაარსე** სამკერვალო სასწავლებელი,

რომელიც იმყოფება მარინის პროსპექტზე მინოვიჩის სახლში, № 40, ვიღებ მოწაფეებს არა ნაკლებ 13 წლისა და ვასწავლი ჭრას პარიზის მეთოდით ტე-დორზე. და აგრეთვე ყოველგვარ ხელსაქმეს, რომელსაც ვახდევინებ თვეში 5 მ. ამასთან ვიღებ და ვამზადებ ყოველნაირ საქმეს ქალთა ტანისამოსისას პარიზის უკანასკნელ მოდაზე. მომდის სხვა და სხვა საუკეთესო ჟურნალი.

(2—6.—2) პატ. პ. გ. აბაშიძე.



---

## ტფილისი, 19 ენკენისთვე.

8 ენკენისთვეს ზოგიერთ ევროპიულსა და რუსულს გაზეთებში დაიბეჭდა რუსეთის დიდებულ მოძღვრის ლ. ტოლსტოის წერილი „ნურავის მოჰკლავ“. გამოჩენილმა ფილოსოფოსმა და მწერალმა, აღშფოთებულმა დაუსრულებელ სისხლის ღვრით, თავისი მძლავრი ხმა აღამაღლა, გამოესარჩლა ადამიანს და ყველას—მთავრობასაც, რევოლიუციონერებსაც, უბრალო მოქალაქეთაც—ეუბნება: შესწყვიტეთ ადამიანის სისხლის ღვრაო! „ორი წელიწადია აგერ, სწერს მხცოვანი ფილოსოფოსი, ადამიანნი გულმოდგინედ ხოცვენ ერთმანეთს: რევოლიუციონერები თავის მტრებს, მთავრობა კიდევ თავისას; ღარავის ინდობენ—არც მამაკაცთ, არც დედაკაცთ, არც ბავშვებს—არავის, ვისი სიკვდილიც თავისთვის სასარგებლოდ მიაჩნიათ; და რაც უფრო გასაკვირველია, ვინც ამას სჩადის, დარწმუნებულია, რომ არც ზნეობრივს, არც სარწმუნოებრივს კანონს არ არღვევს. საქმე იქამდის მივიდა, რომ თუ ყველას ნება მიეცა მოჰკლას ყველა, ვინც თავისთვის მავნებლად მიაჩნია, თითქოს ყველანი ერთმანეთს ამოჟლეტენ: რევოლიუციონერები მთავრობის ყველა აგენტებს და კაპიტალისტებს, მთავრობა და კაპიტალისტები—ყველა რევოლიუციონერთ, გლეხები—ყველა მემამულეთ, მემამულენი—გლეხებს და სხვა... რუსეთის მდგომარეობა საშინელია... საშინელია ის სულიერი და გონებრივი დაბრმავება, რომელიც საფუძვლად უდევს ყველა დღევანდელ სიავეს“...

ასე გოდებს დიდებული მოძღვარი და ახსენებს ყველას, რომ დროა გონს მოვიდეთ, შევიგნოთ ადამიანის პიროვნების პატივისცემის უაღრესი საჭიროება, შევიგნოთ ზნეობრივი კანონი, რომელიც არავის ნებას არ აძლევს მეორე ადამიანს სიცოცხლე მოუსპოს. „ნურავის მოჰკლავ“, გრგვინავს სახელოვან მოაზრის ხმა, თორემ საშინელება გამეფდება, ყველა გამხეცდება და ცხოვრება სულ ერთიანად დაირღვევაო...

ვინ იტყვის, რომ დიდებული მოძღვარი მართალი არ იყოს, რომ მართლა საშინელ სურათს არ წარმოადგენდეს დღევანდელი სინამდვილე?! მაგრამ უბედურება ისაა და დიდი უბედურებაც, რომ შეძახებით „ნურავის მოჰკლავო“, თუნდაც გენიოსის იყოს ეს შეძახება, საზარელი მდგომარეობა არ შეიცვლება, იმდენად ანორმალურია რუსეთის ცხოვრების გარეგანი პირობები. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ გამოჩენილს ფილოსოფოსს, რომელიც მკვლელობის წინააღმდეგ ამხედრებულა, თავისი წერილიც კი ვერ დაუბეჭდია რუსულს გაზეთებში სავსებით; გამოტოვებულია მთელი თავები (მე-III, მე-V, მე-VI და მე-VII, შემოკლებულია მე-VIII და სხვა) და რედაქციები ბოდიშს ითხოვენ—საცენზურო პირობების გამო წერილს მთლად ვერ ვბეჭდავთო! მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ, ტოლსტოის სიტყვით, ამას წინად მთავრობას დაუპატიმრებია და სამართალში მიუცია გამომცემელი მისი წიგნაკებისა, რომელნიც ადამიანის მოკვლის წინააღმდეგ ქადაგებას შეიცავენო! იმ ქვეყანაში, სადაც გამოჩენილს, მთელს დედა-მიწაზე ცნობილს მწერალს სიმართლის გამოქვეყნების ნებაც-კი არა აქვს, ვინ გაიგონებს უბრალო შეძახებას? და მართლაც, „ვისიც ჯერ არს“, ვის ხელშიაც დიდი ძალაა, ვისაც შეუძლია და ჰმართებს კიდეც შესწყვიტოს სისხლის ღვრა, ის დაჟინებით განაგრძობს რეპრესიებს, „კანონის ძალით“ აჰყავს სახრჩობელაზე მცირე წლოვანნიც-კი და არ უნდა გაიგოს, რომ ამნაირის მოქმედებით კიდევ უფრო ამხეცებს ხალხს და დაუსრულებელ შურისძიების გრძნობასა სთესს ირგვლივ...

ვერავინ იტყვის, რომ „მეორე მხარეც“ არ იყოს დანაშაული, რომ „მთავრობის მტერთაც“ არ ედვათ წილი იმ საშინელ სინამდვილის შექმნაში, რომელზედაც ლ. ტოლსტოი მწუხარებით ჰგოდებს. მაგრამ განა რევოლიუციონერებიც არ გრძნობენ, რომ „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება“, განა პარტიები ეს ორი წელიწადია არ ღაღადებენ დღევანდელ უაზრო მკვლელობათა წინააღმდეგ? მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ ამათაც აღარა ჰყავთ გამგონნი, რომ, ანორმალურ პოლიტიკურ პირობათა მეოხებით, უმზგავსო ნაძირალებმა წამოჰყვეს თავი და თავისუფლად ფარფაშობენ, რომ მხეცურმა ინსტიქტებმა გაიღვიძეს და დაუბრკოლებლად არღვევენ ცხოვრების საფუძველს...

რასაკვირველია, ყველამ,—პარტიებმაც და პარტიებს გარეშე მდგომებმაც,—ყველამ, ვინც შეგნებულია და ვისაც ესმის დღევანდელ ცხოვრების საშინელება, მთელის თავის ძალი-ღონით მხარი უნდა დაუჭირონ დიდებულ მწერალს და შეებრძოლონ დღევანდელ უკუღმართობას, უნდა გამოესარჩლონ ადამიანს და შეეცადონ სისხლის ღვრის შეჩერებას; მაგრამ ცხადია, რომ ასეთი ბრძოლა, ასეთი წინააღმდეგობა, ასეთი ცდა მაშინ შეიქნება უფრო ნაყოფიერი და ნამდვილი, მაშინ მიაღწევს **სავსებით** მიზანს, როცა ის „გარეგანი პირობები“ შეიცვლებიან, რომელნიც ხელს უშლიან ხალხის შეკავშირებასა და შეგნებულს მუშაობას და რომელნიც, სამაგიეროდ, ხელს უწყობენ ნაძირალების თავისუფლად ფარფაშს.

---

## სტუდენტების წერილები

**თავ.-აზნაურთა სტიპენდიების განაწილების გამო.**

ყველას უკვე მოეხსენება, რომ ტფ. თავად-აზნაურთა მიერ ამორჩეულმა კომისიამ სტიპენდიების განაწილების დროს ძალიან ყალბი გზა აირჩია: სტიპენდიები მხოლოდ „სპეციალისტებს“ დაურიგა. როგორ ასაბუთებდნენ კომისიის წევრები ასეთ სასაცილო და გონიერებას მოკლებულ გადაწყვეტილებას, ამისი გამორკვევა ჩვენ, საუბედუროდ, არ შეგვიძლიან, რადგან სხდომები ფარულად ხდე-

ბოდა, არავის არაფერს ავებინებდნენ. სტიპენდიების საქმეზე დიდ-ძალი ფული იხარჯება (რამდენისამე წლის განმავლობაში 200,000 მანეთი მარტო სტიპენდიებს მოხმარდა) და ამიტომ საზოგადოება პირდაპირ არის დაინტერესებული, რომ ეს საქმე სამართლიანად სარგებლობით იყოს დამყარებული. კომისიას არავითარი ზნეობრივი უფლება არა აქვს მიყრუებულ კუნჭულში მიიყვანოს და საქმეები შინაურულად, ნათლია-მამურად მოაგვაროს.*) თუ კომისიას მართლა სასარგებლო მუშაობა სურს, თუ იგი მართლა ეროვნულ-შობლიურ აზრით არის გატაცებული, სინათლისა არ უნდა ეშინოდეს.

თუ რამდენად მავნებელია ასეთი კარჩაკეტილობა, ეს, სხვათა შორის, კომისიის [illegible] გადაწყვეტილებამაც ნათლად დაამტკიცა. რითი ხელმძღვანელობდა კომისია, როდესაც სპეციალისტებს უპირატესობას აძლევდა? რითი უფრო მეტის ღირსნი არიან სპეციალისტები? [illegible] ლური დარგს [illegible] მაღლა აყენებდა? [illegible] საჭირონი არიან, ვიდრე აგრონომები ან წინაალმდეგ? რომელ სტატისტიკურ გამოკვლევებით სარგებლობდა კომისია? როდესაც მრავალთა შორის ერთის რომელიმეს არჩევის დროს მტკიცედ განსაზღვრული კრიტერიუმი არ არსებობს, არჩევანი ყოველთვის შემთხვევაზეა ხოლმე დამოკიდებული. ასე დაემართა კომისიასაც; რათა ჰგონია კომისიას, რომ სპეციალისტებს მეტი მნიშვნელობა აქვთ ჩვენის ქვეყნისთვის, ვიდრე სხვებს? ბავშვსაც-კი გაეცინება, როდესაც გაიგებს, რომ საქართველოს გაბედნიერება ასეთის ხელოვნურის საშუალებითა სურთ. თუ სპეციალისტები საჭირონი არიან, ისინი დაიბადებიან; და თუ თქვენ ხელოვნურად შექმენით ისეთი პირობები, რომ ახალგაზდანი იძულებულნი ხდებიან, თავიანთ მისწრაფების წინაალმდეგ, სპეციალური დარგი აირჩიონ, მერწმუნეთ, ასეთს პირობებში აღზრდილი ადამიანი სარგებლობას ვერ მოიტანს. რატომ არ არის საჭირო ექიმი, როდესაც ჩვენი სოფლები ამ მხრით უაზარლეს პირობებში იმყოფებიან? რატომ არ არიან საჭირონი მასწავლებლები, როდესაც მეჩეჩმეც-კი მასწავლებლობას ეწევა? ან რა დიდი სიმდიდრის პატრონები ქართველები არიან, რომ ქიმიკოსი და ტექნიკოსები ასე ძლიან ვესაჭიროებოდეს. რკინის გზები სახაზინოა, ფაბრიკაქარხნები უცხო ტომთა ხელშია, საუკეთესო მამულებიც საუფლისწულო უწყებას და სხვებს ეკუთვნით. ვის უნდა მოახმაროს მთელი თავისი ახალგაზდური ძალ-ღონე თქვენმა მეცნიერმა? სპეციალისტები საჭირონი არიან, მაგრამ უპირველეს ყოვლისა საჭირონი არიან ისეთი პირები, რომელნიც ამ სპეციალისტებს სამოქმედო ნიადაგს მოუმზადებენ.

თუ გასაოცარია პრინციპიალური მხარე გადაწყვეტილებისა, ერთი ორად უფრო გასაკვირველია მისი მეორე, პრაქტიკული მხარე. რითი ხელმძღვანელობდა კომისია, როდესაც სტიპენდიების რიცხვს ამცირებდა და თითოს 40 მანეთს უნიშნავდა? იტყვით, 25 მანეთი საკმაო არ არისო? დიახაც რომ საკმაო არ არის, მაგრამ ზოგი რომ მაგ 25 მანეთსაც მოკლებულია? ქართველი ოჯახი ღარიბია, მაგრამ არც ისე ძალიან, რომ თვეში 5 მანეთი ვერ მიაწოდოს ხოლმე თავის შვილს. ცოტა ოჯახმაც გაიჭიროს და ამით სხვასაც მისცეს სწავლის გაგრძელების საშუალება. ეხლა კი ზოგი 40 მანეთს იღებს, ზოგს კი იმისი საშუალებაც არა აქვს, რომ სწავლის ფული შეიტანოს, ან რუსეთში წასასვლელად ეყოს. ეს ცხადი უსამართლობაა, და, როგორც ასეთი, აუცილებლად ბოლო უნდა მოეღოს.

კიდევ აუარებელი საკითხია ისეთი, რომელიც კომისიას უნდა გამოერკვია, მაგრამ მან არაფერი გააკეთა. მაგ. სტიპენდიას ბევრი შეძლებული სტუდენტი იღებს, დიდი ხნობით სარგებლობენ და სხ. ყველა ამეების გამოსარკვევად, მე მგონია, ძალიან კარგი იქნება, თუ კომისიის სხდომებს სტუდენტების მიერ ამორჩეული წარმომადგენლებიც დაესწრებიან ხოლმე. კომისიამ უნდა დაავალოს სტუდენტობას ყველა საკითხის გამორკვევა და თავის აზრის წარდგენა; სტუდენტებს უნდა მიენდოთ გამორკვევა იმისი, თუ ვინ უფრო ძალიან საჭიროებს და სხვა. კომისიამ-კი ვალდებულად უნდა გახადოს თავისი თავი ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ხოლმე სტუდენტების გადაწყვეტილება!

ასეთს პირობებში უფრო ადვილი მოსახერხებელია სამართლიანად განაწილება სტიპენდიებისა, ვიდრე ისეთის წესით, რომელიც კომისიამ აირჩია.

ვსთხოვ ამხანაგებს, მათაც გამოსთქვან თავიანთი აზრი ამ საკითხის შესახებ.

ადესის უნივერსიტეტის სტუდენტი

**არჩილ ჯაჯანაშვილი.**

*) რამდენადაც მე მახსოვს, კომისიამ შარშან პედაგოგებსა და მცოდნე პირებს მოუყარა თავი. ამათ მსჯელობა იქონიეს ამ საკითხზე და კომისიის აზრი—რომ უპირატესობა სპეციალისტებს მიეცეს ხოლმე, უსარგებლოდ და ანტიპედაგოგიურად იცნეს. რატომ არავითარი ყურადღება არ მიაქცია კომისიამ მცოდნე პირების გადაწყვეტილებას? ან, თუ არაფრად აფასებდა მათს აზრს, ქვეყანას რაზე ატყუებდა და რაღად იწვევდა? ა. ჯ.

## II

როგორც ვიცით, დიდი ხანია არსებობს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სტიპენდიები. ვიცით აგრეთვე, რომ ამ სტიპენდიების დასანიშნავად არსებობს გამნაწილებელი კომისია. წინად კომისია არაფრით არ ხელმძღვანელობდა სტიპენდიების განაწილების დროს და როგორც ენებებოდა, ისე არიგებდა ფულს ეს იყო მიზეზი, რომ სტიპენდიანტებში მხოლოდ მცირე ნაწილი იყო ისეთი, რომლისთვისაც სტიპენდია მართლა საჭიროებას წარმოადგენდა; უმრავლესობისათვის კი სტიპენდია ზედმეტი ფული იყო. ორი წელიწადი იქნება, რაც ჩვენმა კომისიამ განიზრახა ფულის განაწილების დროს ეხელმძღვანელოს ამა თუ იმ წესით, რისთვისაც გაზზე დასტოვა ღარიბ მოსწავლეთა უმრავლესობა და განაცხადა: სტიპენდია „მხოლოდ სპეციალისტებს მიეცემათო". ეს შეიძლება უმაღლესი მოსაზრება იყოს, რომელსაც ჩემი ჭკუა ვერ მისწვდება, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ კომისია ლახავს თავმოყვარეობას დანარჩენ, არა სპეციალისტ, სტუდენტებისას, რომელთაც თავიანთ მოწოდებით ამოურჩევიათ ესა თუ ის მეცნიერება და სურთ სიცოცხლე შესწირონ მას და დაიკმაყოფილონ სულიერი მოთხოვნილება. კომისია რაღაც გაუგებარ მოსაზრებით ასეთ მოსწავლეებს თითქოს ეუბნება, თქვენ საყვარელ მეცნიერებას თავი დაანებეთ და სხვა შეისწავლეთო. ვერც ის გამიგია, რა პოლიტიკაა კომისიის მხრივ, რომ ზემოხსენებულ გადაწყვეტილების შემდეგ კიდევ განაგრძობდა ღარიბ სტუდენტთა თხოვნების მიღებას. ეს, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ აგდებასაც ჰგავს...

ამას გარდა, ჩემის აზრით, დიდ შეცდომად ჩასათვლელია, რომ კომისია მოსწავლეებს ხელადებით უნიშნავს სტიპენდიებს, ჩუქნა, რასაკვირველია, კარგი გახლავთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასტიპენდიო ფული გამოულეველია. რადგან ეს ასე არ არის, ამიტომ უკეთესი იქნებოდა კომისიას თავის სტიპენდიანტებისათვის სესხად ეძლია და გათავებისას მოეთხოვა, წვრილ-წვრილად ეხადნათ. ეს ორნაირად სასარგებლო იქნებოდა: ჯერ ერთი—გადადებული ფული დაუშრეტელ წყაროდ გადაიქცეოდა და უფრო მეტი ღარიბი გამოიზრდებოდა, მეორეც—ცოტა ოდნად შეძლებულნი ისე ხალისიანად აღარ მიეტანებოდნენ სტიპენდიებს, როგორც ეხლა და არ მოისურვებდნენ დავალიანებას. ამნაირად, ფული, თუ სულ არა, უმეტეს შემთხვევაში მაინც, მხოლოდ ღარიბებს დარჩებოდათ.

წრეულს ოთხ-კაცს დაუნიშნეს სტიპენდია, თითოს მისცეს 580 მანეთი. აბა, თუ ღმერთი გწამთ, რა სამართალია ან რა ქველმოქმედებაა, ერთს სულ სავსებით მოაკლო ყველაფერი, შიმშილით სული ამოხადო, მეორეს კი მეტიც მისცე? მე, როგორც ხარკოვის ქართველ სტუდენტთა თვის-ტომის წრის გამგეობის წევრი, შემიძლიან დანამდვილებით ვსთქვა, რომ ჩვენ იმისთანები გვყავდა და გვყავან კიდეც, რომელნიც კაპეიკს არ იღებენ სახლიდან, გვყავან ისეთებიც, რომელნიც ხუთსრვა-ათს მანათს იღებენ მხოლოდ სახლიდან. ამის გასაგებად მსურველს შეუძლიან მიმართოს ხარკოვის თვის ტომის წრის გამგეობას.

კომისიის წევრებს ჩვენი სტუდენტების ყოფა-ცხოვრება უფრო ადრე უნდა სცოდნოდათ და სტიპენდიების დანიშვნაც სხვანაირად უნდა მოეწყოთ. მე მგონია ემჯობინებოდა, კომისიას რომ სხვა და სხვა რაოდენობის სტიპენდიები ჰქონოდა დანიშნული: თუმნიანი, თხუთმეტ და ოც მანეთიანი და სხვა. მაშინ კომისია უფრო შესძლებდა, ყველასთვის გაეწვდინა თავისი წვლილი და შეევსო ამა თუ იმ ღარიბ სტუდენტის ხელ-მოკლეობა. კომისია, რასაკვირველია, ზომებს მიიღებდა იმის გასაგებად, თუ ვის რამდენი შეუძლიან სახლიდან მიიღოს და ამის კვალობაზე დაუნიშნავდა სტიპენდიას. ასე სტიპენდიების მოწესრიგება უფრო სამართლიანი იქნებოდა და ორ იმდენს გაჭირვებულს შეეწეოდა, რამდენსაც ეხლაა.

საზოგადოდ-კი სამართლიანად სტიპენდიების განაწილება შეუძლიან ისეთ პირებისაგან შემდგარ კომისიას, რომელიც დაახლოვებით იცნობს სტუდენტების ყოფა-ცხოვრებას, მათ შორის ტრიალებს და მათთან ერთად ატარებს ცხოვრებას. ასეთი არიან თვითონ სტუდენტები. სანამ კომისია სტუდენტებს არ მიიშველიებს და იმათ არ დაავალებს ფულის განაწილებას, მანამ უსამართლობას ბოლო არ მოეღება. სასურველია, შესდგეს კომისია ყველა უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა თვის-ტომთა წრეების წარმომადგენელთაგან.

ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი

**გრ. შალიბაშვილი.**

### უმაღლესი კურსები.

გ. თაყაიშვილი შეუდგა ქართულ ისტორიის წყაროების განხილვას და შორეულ ეპოქისა. რასაკვირველია, შეეხო „ქართლის ცხოვრებას".

ლექტორმა [illegible] ქართული [illegible] ისტორიის შესწავლის ისტორია კლაპროტიდან დაწყებული, აღნიშნა მარი ბროსეს ღვაწლი და წარმოადგინა ეხლანდელი მდგომარეობა საკითხისა.

წინად გავრცელებული აზრი, რომ ქართული მატიანე არ არსებობდა ვახტანგ მეექვსემდე, ეხლა საბოლოოდ უარყოფილია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრება, გადაწერილი ვახტანგის დაბადებამდე. „ქართლის ცხოვრების" ის ვარიანტებს, რომელიც კი ბროსეს ჰქონდა ხელთ, ყველას ეტყობა ვახტანგის რედაქციის კვალი. რაში მდგომარეობდა ეს რედაქცია ან რა ცვლილებები შეიტანა მან მატიანის ტექსტში, ამას ლექტორი შემდეგ ლექციაში გაგვაცნობს. მანამდე კი ბ. თაყაიშვილმა დაამტკიცა უსაფუძვლობა იმ აზრისა, ვითომ შეუძლებელი იყოს, რომ ვახტანგს შეესწორებინოს ან რამე შეეტანოს „ქართლის ცხოვრება"-ში.

გარდა მატიანის წინასიტყვაობის პირდაპირის მოწმობისა ამას ამტკიცებს ვახტანგ მეფის მთელი მოღვაწეობის ხასიათიც.

მეთორმეტე საუკუნის შემდეგ საქართველოს შავი დღეები დაუდგა: უმრავში გარეშე მტრებმა და შინაურ ცხოვრების მოუწყობლობამ მუსრი გაავლეს ქართველობას, დასცეს მისი კულტურა და მიწასთან გაასწორეს იგი; დაინგრა ეკლესია-მონასტრები, მოისპო საერო მწერლობის ნაწარმოები, წერა-კითხვის ცოდნა შესუსტდა. თვით მეფის მდივნებიც კი, რომელნიც საბუთის ქაღალდებს სწერდნენ, ძლივს ახერხებენ წერას. სწორედ ამ დროს დაიღუპა ძველი დედანი „ვეფხვის ტყაოსნისა" და „ქართლის ცხოვრებისაც".

ვახტანგ მეფის დრო ახალ აღორძინების ხანაა. ვახტანგის ინიციატივით შეუდგნენ, სხვათა შორის, მწერლობის აღდგენასაც და ამ მწერლობის აღდგენაში შედიოდა „ქართლის ცხოვრების" შესწორებაც.

როგორც მარიამ დედოფლის ვარიანტი ამტკიცებს, ქართული მატიანე მეტად შერყვნილი ყოფილა იმ დროს: ბევრგან ისეა გაფუჭებული ტექსტი, რომ მისი წაკითხვა ძნელია თვით სპეციალისტთათვისაც.

ვახტანგი, ის ვახტანგი, რომელმაც კანონები გამოსცა, სასჯელის წესები შეიმუშავა, სამეფოს სტატისტიკური აღწერა მოახდინა, სტამბა დააარსა, ქართულ ლიტერატურის გამდიდრებაზე ზრუნავდა დაუდე-

# ფელეტონი

## შინაური ამბები

სულ მაღლა ფრენა.—გარდახვეწილი ქართველები.—ხევსურები.—შირაქი.

> კუდა ხარი თავისთვის არ იყო,
> სხვას ბუზებს უგერებდაო.
>
> **ხალხური.**

ამ რამდენისამე წლის წინად, კარგად აღარ მახსოვს, როდის, გაკვრით იყო ქართულ გაზეთში მოხსენებული, რომ თერგის ოლქში ბინა გაიჩინეს უმამულობით შეწუხებულმა ქართველობამაო. ყური ვცქვიტე ამ ამბავზე და სულ განაბული მოველოდი, აი ან დღეს, ან ხვალ ბ-ნი კორესპონდენტი დაწვრილებით აუწყებს მეთქი მკითხველებს, თუ ვინ არიან ეს გარდახვეწილი ქართველნი, საიდაურნი, როდის მივიდნენ საქართველოდან, როგორ მოეწყვნენ და სხვა. იმედი გამიცრუვდა და აქამომდის კრინტი არავის ამოუღია.

ყვირილითა და ბაქი-ბუქით ქვეყანას ყურები გამოუჭედეთ—შემოგვხედეთ, რა ბიჭები ვართო! „დახავსებულ, დამყაყებულ" ევროპას ალმაცერად ვუცქერით, მისი აღარა მოგვწონს რა. უკანანი წინაო, ვამბობთ თამამად და მივცურავთ სიტყვების მაღალ-მაღალ ფარდებში. ცხვირ წინ რა ხდება, ვეღარა ვხედავთ, რადგან სავსებით დავკარგეთ უნარი შინაურ, უბრალო საქმეების გაძღოლისა. კულტურული ზრდა ყოველგვარ ეროვნულ საქმისა და დაწესებულებისა შეჩერდა. აპილპილებულ, კოხტა და ლამაზ სიტყვათა კორიანტელმა და ქარბუქმა ისეთ გუნებაზე დააყენა ძველი და ახალი თაობა, რომ სულ იმის ოცნებასა და ნატვრაშია, აბა როგორმე ერთ დღეს, თუ ცეცხლში ერთ საათში მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, ერთის სიტყვით, მთელი დუნია სანეტარო წალკოტად ვაქციოთო. პატარა ქვეყანა, უსამართლოდ და უმიზეზოდ ჩაგრული და წახდენილი, ღარიბ-ღატაკი, სასაცილოდ აგდებული, სიბნელეში მყოფი, აი საქართველოს რომ ეძახდნენ ძველად, ვიღას ახსოვს! ვიღა იცხელებს მისთვის თავს? აი ქვეყანას რომ გავაბედნიეროთ, ძმობა-ერთობა-სათნოებას რომ გავამეფებთ, პატარ-პატარა „სამშობლოების" მაგიერ ერთ უზარმაზარ ცენტრალურ სახელმწიფოს რომ დავამყარებთ, სადაც შური, მტრობა და ბოროტება აღმოიფხვრება ძირიან-ფესვიანად, მაშინაო, ამბობენ ოცნებით მოწამლულნი და საქმისათვის უვარგისნი, ქადა-ნაზუქის სუნი იმ ქვეყანასაც მიედინება, საქართველოს რომ ეძახდნენ ისტორიკოსებიო. ვიდრე წვერიანი და უწვერო ვაჟკაცები „ედემა" აშენებენ, უცქერია ქართველებს ზღაპრულ ჯორის ამბავი დაემართებათ და შიმშილით ფეხებს გავჭიმავთ, მაგრამ ეტყობა, ეს ამბავი არავის გულს არ უძმარავს, რადგან „ერთნი წავლენ და სხვანი მოვლენ ტურფასა საბაღნაროსა".

ასეა თუ ისე, საოცარი ამბავი დაგვატყდა თავს. საქმიანობის უნარი წინადაც არ იყო ძლიერი და ეხლა ხომ სულ ღმერთი გაგვიწყრა. პატარ-პატარა საქმეებს ვეღარ ვპატრონობთ, თვალს ვარიდებთ, აღარ ვიბრძვით მისთვის.

მართლაც, საოცარი ამბები გვატყდება თავზე! ჩვენს პატარა ქვეყანაში გააჩინეს დაწესებულება, რომელსაც დაავალეს ყური უგდო და უპატრონე რუსეთის შიდა გუბერნიებიდან მოსულ უმამულო გლეხობასო. აუარებელ ფულსა ჰხარჯავს ეს დაწესებულება მარტო მოხელეებზე. თავისუფალი ადგილ-მამული რომ აღარაა ამ უბედურ საქართველოში, ტყეებს აჩეხინებენ ლეკებს, დესეტინაში 70 80 მანათს აძლევენ და როცა ცოტათი მაინც გასწმენდავენ, უთვლიან—მოდით და ბინა დასდეთო. წარსულ საუკუნეში რაც თავისუფალი სახნავი იყო, აზია-ევროპიდან მოსულებს უფეშქაშეს და დღეს, რაკი ეს სიმდიდრე გამოილია, ტყეებს მიჰყვეს ხელი.

ადამიანის გონება ვერ მისწვდება ამ სისასტიკეს და უსამართლობას. ნახევარი ტფილისის გუბერნიისა უცხოეთიდან მოსულებს გაუზომეს სახმარად და სამკვიდროდ და კიდევ ვერ დასცხრნენ, არ ისვენებენ, რაღასაც ჩხირკედელაობენ და ცივ სამარეს უმზადებენ მკვიდრს, იმ მკვიდრსა, რომელიც ათას წლობით იდგა აქა და სწორედ რომ სისხლითა და ოფლით აქვს მორწყული ეს პატარა ქვეყანა. აგერ ეს ხუთი თვეა მთელი ხევსურეთი შეინძრა, ორმოცდა-ათობით ჩამოდის ქალაქში, მთელ კვირაობით აქა ლამდება, გამვლელ გამომვლელს ემუდარება, იწამეთ ღმერთი და ერთი ჩიჩქნა მიწა მოგვეცით, რომ ბინა დავდოთ, პური მოვიყვანოთ და კუჭი გავაძღოთო. თან ჩამოიტანეს ნიმუში პურისა, რომლითაც იკვებება ეს კუთხე. პური პურს არა ჰგავს, იგი გახმარი ტალახია, შავი, როგორც კუპრი, ხმელი და მაგარი, როგორც ის სალი კლდე, სადაც იგი გამოსცვარა. ხევსურნი გადაშენების გზაზე დგანან, აღარ მრავლდებიან, რადგან იძულებულნი არიან თითქმის შესწყვიტონ სქესობრივი კავშირი. რა აჭამონ, რომ გააჩინონ ბავშვები?!

მესამედი იმ აუარებელ ენერგიისა, ამ სამ წელიწადში რომ დახარჯა საქართველომ, შინაურ საქმეს რომ მოხმარებოდა, ვინ იცის, იქნება ხევსურებს დღის სადმე ბარში ერთი მუჭა ადგილ-მამული ეშოვნათ და ტალახის მაგიერ პური ეჭამათ. შვიდ-რვა თუმნობით რომ ტყის გასაჩეხად ერის საგანძურიდან ფუქად იხარჯებიან, ისიც საგანძურში დარჩებოდა და თან ტყეც შეგვენახებოდა. მაგრამ მაგარი ისაა, რომ ამ გვარი მოღვაწეობა სამურეხო საქმეა, მოკლებული ეფექტებს და მასში სიკეთის დამთესნი გმირის სახელს ვერ მოიხვეჭენ.

უმამულობით სული ხდება ჩვენს მთას. სალ კლდეებზე რა პური მოვა, ყველამ იცის, და მთიულსაც კუჭი შიმშილით უხმება რომ ვეღარ გაუძლო მუდმივ შიმშილს, აიყარა მთა და შირაქის ველმინდორს მიაწყდა. თვალის დახამხამებაზე გაჩნდა ორი უშველებელი სოფელი 700 800 კომლიანი. ესტუმრნენ ახალმოშენეთ მთავრობის კაცნი,—უნებურად, დაუკითხავად აქ რად მოსულხართო; გუდა-ნაბადი აიკრიფეთ და მიბძანდით იქ, საიდანაც ჩამოსულხართო. „ფეხს ვერ მოვიცვლით აქედანაო,—უპასუხეს ახალშენელებმა. არ ვიცოდით, პური რა ხილი იყო, დღეს გავიგეთ, რა გემოსი ყოფილა იგი. ნებით ვერ წავალთ აქედან, ჩვენც ისეთი ხალხი ვართ, როგორც სხვები. თუ ჩვენი სიცოცხლე არ გინდათ, ბარემ ბოიტანეთ ნავთი, გადაასხით ჩვენს მიწურებს და ქოხებს, წაუკიდეთ ცეცხლი და შიგ ამოგვწვით. ძაღლურ ცხოვრებას, მუდამ შიმშილს და ბალღების საცოდაობას სიკვდილი გვირჩევნიაო".

ამრიგად, შირაქელების ბედი ბეწვზე ჰკიდია...

განა ეს უშველებელი საქმე თავშისაცემი, სავალალო და საზრუნავი არაა? განა ამას პატრონობა, მოვლა და ხელის შეწყობა არ უნდა? ზეპირად რა გაკეთებულა, რომ ეს გაკეთდეს! საჭიროა ზედმიწევნით, საბუთიანად შესწავლა, გამოკვლევა და შემდეგ საქვეყნოდ გამოფენა და გამომზეურება. მერწმუნეთ, რომ მზის ცხოველმყოფელ შუქს და ნათელს ნესტიანი სიბნელე ვერ გაუძლებს, თუ მოხერხებულად მოხვდება მას სხივი.

თერგის ოლქშიაც უმამულობამ და შიმშილმა გადარეკა ქართველობა. მათი ბედი და თავგადასავალი არაფრით ჩამოუვარდება ბედკრულ ოდისევსის თავგადასავალს. აი მოისმინეთ და იხილეთ.

ამ ოცდა-თხუთმეტის წლის წინად სოფ. მლეთიდან აყრილა უმამულო ქართველობა და დასდგომია კავკასიის გზას შიდა რუსეთისაკენ. როცა ვუსაყვედურე, რატომ საქართველოსაკენ არა ჰქენით პირი მეთქი, მიპასუხეს: პატრონი არა გვყავდა, არავინ გვიწინამძღვრა და რადგან კავკავი გვეახლოვებოდა, იქით წავედითო.

მლეთელები და ცხავატელნი (ქსნის ხეობა) დასახელებულან კავკავის მახლობლად, აუღიათ იჯარით საბატონო მამული. სახლ-კარიც გაუკეთებიათ, რასაკვირველია. იჯარის ვადა რომ გასულა, მამულის პატრონს დაუთხოვნია მამულიდან. მაშინ იჯარით აუღიათ ყაზახებისაგან სახნავი მიწა და აქაც მეორედ გაუკეთებიათ სახლები. აქედანაც აყრილან და ჩამოსულან ბალთაში, სადაც იჯარითვე აუღიათ მემამულე დუდაროვების ადგილ-მამული, სადაც მესამედ მოწყობილან სახლკარით. იჯარის ვადა რომ გასულა, აქედანაც აყრილან და სახელმწიფო მიწა აუღიათ იჯარით. ამ ადგილს ქართული სახელი „სამება" რქმევია. აქაც მეოთხედ სახლკარი ჩაუდგამთ, მაგრამ უიღბლო ქართველს სამების მადლმაც ვერ უშველა, კიდევ აყრილან და მისულან ხასავ-იურტში. ბევრის წოწია-

დავად, უყურადღებოდ ვერ დასტოვებდა ქართულ მატიანის სავალალო მდგომარეობას და აგი არც დაუტოვებია.

ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი

**თელავი**. თუ როგორ ს მეხედულობისანი არიან მცხოვრებნი სახელმწიფო სათათბიროში არჩევნებზე, ეს ნათლად დავინახეთ წვრილ მემამულეთა არჩევნების დროს 15 სექტემბერს. წინად ასეთი არჩევნები მთელ მაზრაში ოთხ ადგილს მოახდინეს და ზოგან იმდენი ამომრჩეველი მივიდა, რომ რამდენიმე დღე გაგრძელდა.

წელს-კი მთელ მაზრაში ერთ ადგილას, ქ. თელავში მოხდა არჩევნები 15 სექტემბერს, მაგრამ რა არჩევნები, რის არჩევნები: სად იყო წინანდელი გაცხოველმეყოფებული აგიტაცია, მოზღვავებული ხალხი და კანდიდატთა მოძრაობა. ამ დღეს რამდენიმე კაცი ძლივს გამოცხადდა, თუ არ გამოცხადდებო, ჯარიმას გადაგახდევინებენო, ამბობდა ერთი მოხუცი დიაკვანი. კარგა ხანი ელოდნენ, რადგან ალარავინ გამოცხადდა, არჩევნები დაიწყეს. სულ გამოცხადდა ამ დღეს 15 კაცი, აირჩიეს 6 კაცი, სხვათა შორის, ცნობილი პეტერბურგელი ვექილი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი.

# ახალი ამბავი

✦ **ჰუგო შუხარდტის წერილი**. გრაცის უნივერსიტეტის პროფესორმა და ვენის სამეცნიერო აკადემიის წევრმა ჰუგო შუხარდტმა წერილი მისწერა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გერმანულ ენაზე მთარგმნელს არტურ ლეისტს. პროფესორი ილია ჭავჭავაძის მოკვლის გამო დიდ მწუხარებას აცხადებს.

✦ **პოლიტიკური საქმე**. 17 სექტემბერს ტფ. სამოსამართლო პალატაში წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით, გაირჩა საქმე პეტერბურგის საპოლიტექნიკო ინსტიტუტის სტუდენტის მიხეილ ლევანის ძე ჩერქეზიშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება. საქმის გარჩევამ გასტანა საღამომდე. გამოჰკითხეს რამდენ. სამე მოწმეს და აგრეთვე ექსპერტებს. შეამოწმეს ხელთნაწერები ბრალდებულისა. სასამართლო პალატამ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც მიხეილ ჩერქეზიშვილი უდანაშაულოდ იქმნა ცნობილი.

✦ **უმაღლესი კურსები**. დღეს, 19 სექტემბერს, საღამოთი, პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის დარბაზში მასწავლებელი იუსტინე აბულაძე წაიკითხავს ლექციას ქართულ ენის შესახებ.

✦ **ლექცია**. კვირას, 23 სექტემბერს, სტ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში დილით ილია პ. ნაკაშიძე წაიკითხავს ქართულად ლექციას ინგლისელ მწერლის ჩარლზ დიკენსის შესახებ.

✦ **ხმოსნების განთავისუფლება**. ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანი სვენცკოვი, რომელიც 20 დღე დაპატიმრებული იყო, გაანთავისუფლეს. ერთი თვეა აგრეთვე დაპატიმრებული ხმოსანი არშაკ ს. ზაბოვი. 18 სექტემბერს ზაბოვი გაანთავისუფლეს, მაგრამ სამი დღის შემდეგ იგი უნდა გავიდეს ტფილისის საგენერალ-გუბერნატოროდან.

✦ **მკვლელობა ბათუმში**. ბათუმში მოუკლავთ შხიანცის ქარხნის გამგე ს. არუთინოვი. მკვლელი აღმოჩნდა ქარხნის დარაჯი, სომეხი. მიზეზი მკვლელობისა ის იყო, რომ ქარხნის გამგეს დარაჯი დაუთხოვნია, რადგან ქარხანაში მუშაობა შეუმცირებიათ.

✦ **ქართულ სალმრთო წიგნების ბეჭდვა**. სინოდის სამეურნეო განყოფილებამ განიხილა საქართველოს ეგზარქოსის მოხსენება დაბადების (ბიბლიის) ადგილობრივ ენებზე გადათარგმნის შესახებ და ნება დართო ეგზარქოსს, გორის ეპისკოპოსის პეტრეს თავმჯდომარეობით დააარსოს კომისია სასინოდო კანტორასთან დაბადების და სალვთის - მსახურების წიგნების შესასწორებლად. წიგნები უნდა დაბეჭდონ მოსკოვში, სასინოდო სტამბაში. გამოცემის გეგმის შესამუშავებლად ტფილისში გამოჰგზავნიან მოსკოვიდან სტამბის გამგეს სოლოვიოვს.

✦ **ბეითალის ვართანიანცის გადაყვანა**. როგორც იქნა, ტფ. საყასბოს მოხელე მოსამსახურეებმა თავიდან მოიშორეს თავიანთი „კეთილის მყოფელი" ბეითალი ვართანიანცი. ქალაქის გამგეობამ განიხილა საყასბოში მომხდარ ამბების შესახებ მოხსენება და დაადგინა: ბარსეგ ვართანიანცი, რომელიც საყასბოს ექიმად და სამიკროსკოპო სადგურის გამგედ არის, გადაყვანილ იქნას ბეითლად საქონლის ბაღში.

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი**. სამხედრო საოქლო სამართალში მისცეს გორელი ვიქტორ ნასყიდაშვილი. მას ჰბრალდება გიმნაზიის ინსპექტორის ზაალიშვილისთვის მუქარის შეთვლა ფულის დასატყუებლად და იმის მებაღის სასიკვდილოდ დაჭრა. იგზავნებიან სამხედრო წესების მოხსნამდე: ის. მუსტაფა ოღლი, სიღნაღელი კაპლონ სეირანოვი, დუშეთში შეპყრობილი თედო ბერბერაშვილი, ზ. ლევიცკი; პერმის გუბერნიაში სიმონ არელაშვილი, დ. ბადილო ოღლი, გიორგი კარჭაძე, ვასილ და ნიკოლოოზ არჩვაძენი და ანდრია კაიშაური. არხანგელსკის გუბერნიიდან თავის ნებით ჩასოსულს სანდრო შარიბეგაშვილს უკანვე ჰგზავნიან. ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალათ: ავ. სარქისიანცს, სეთადარიგო პოლიციელს ხვთისავარ გოგოლაურს, ნიკოლოოზ ბედიაშვილს და ანნა თეიმურაზოვისას. დააჯარიმეს: ათ-ათი თუმნით „მოსკოვ. ნომ." პატრონი ხუნდაძე და თამბაქოს ქარხნის „მირის" დირექტორი; 300 მანეთით—სახლის პატრონები ს. ტკოფოვი, ი. თუმანოვი, ასლამაზოვი და ტ. კირვალიძე; 50 მანეთით სახლის პატრონი ნიკ. სულავა. დააჯარიმეს მეეზოვის დასაქირავებლად სახ. პატრონები იშხანოვი, ალიხანოვი, ალხაზოვი და მედუქნეები პოლოსოვი, არ. ბეგიჯანოვი, ბ. ამირბეგოვი, მეთორნე ვლ. გუნცაძე, მეჩაიე ო. როსტომოვი, მეწაღე გ. მამაცოვი და დალაქი გ. გრიგიშვილი. ტრამვაის კონდუქტორი ე. მარუკოვი 15 დღით დააპატიმრეს.

✦ **პანაშვიდი**. 17 ენკენისთვეს ტფილისში ებრაელთა თორაში პანაშვიდი გადაიხადეს განსვენებულ ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად. ებრაელთა გარდა პანაშვიდს დაესწრნენ წარმომადგენელნი თავად-აზნაურობისა, წ. კ. საზოგადოებისა, ქართულ ბანკისა და სხ.

✦ **დატყვევება**. 16 ენკენისთვეს ყარსის გზის სადგურ სანაინთან ავაზაკთა ბრბომ ზუბინსკისა, ვერმიშევისა და დალაქოვის მეთაურობით დაატყვევეს ტფილისის ვაჭრის ქალანთაროვის ქვრივი და შვილი ტფ. ვაჭრის აბოვიანცისა. ავაზაკები 30,000 მანეთს თხოულობენ.

✦ **ფოსტის გაძარცვა**. 14 ენკენისთვეს ბაქოს გზის სად. საგირზე ფოსტა გაუძარცვავთ. დილით ფოსტალიონი შეკრული იპოვეს. მძარცველთ 2000 მანეთი და რევოლვერი წაუღიათ.

✦ **ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობა**. ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ თავმჯდომარედ აირჩია ალექსანდრე ჯაბადარი, იმის ამხანაგად ბ. გოთუა, მდივნად დავ. ნახუცრიშვილი და ხაზინადრად ალ. ნანობაშვილი.

✦ **ახალი წიგნები**. რედაქციამ მიიღო შემდეგი წიგნები: 1. „წყარო", წიგნი მეორე, შედგენილი არ. ქუთათელაძის მიერ. მესამე შევსებული გამოცემა. წიგნი 58 გვერდს შეიცავს და ღირს მხოლოდ ათ შაურად; 2 „კათალიკოზ-ბაქარიანი", მღვდლის იესე ტლაშაძისა. რედაქცია ე. თაყაიშვილისა. ეს თხზულება მე-18 საუკუნეს ეკუთვნის. გადაბეჭდილია ხელთნაწერებიდან, რომელიც წ. კ. საზოგადოების წიგნთ საცავში ინახება. ფასი ორი აბაზი; 3. „პირველი ნაბიჯი" (ლექსები), გაფცას ზანგისა, გამოცემული ავტორის მიერ. ფასი ორი შაური.

✦ **ქალაქის საბჭო**. მეტად ცუდ მდგომარეობაშია ტფ. ქალაქის თვითმმართველობის საქმე. ახალი ხმოსნები ჯერ არ დაუმტკიცებიათ, ძველი ხმოსნები კიდევ სულ აღარ იკრიბებიან, რომ წვრილმანი საქმეები მაინც განიხილონ. 17 სექტემბერს, მაგალითად, ათ საათამდე უცადეს 18-მდე ხმოსანმა თავიანთ ამხანაგებს, მაგრამ ისინი არ მოვიდნენ. დამსწრეთ კერძო თათბირი გამართეს ზოგიერთ საჭირ-ბოროტო საკითხის შესახებ. შეეხნენ ტფილისში პურის გაძვირებას. ხმოსნებმა ის აზრი გამოთქვეს, რომ გამგეობამ შეჰკრიბოს ცნობები პურის ფასის შესახებ და ყველაფერი აცნობოს საბჭოს ნიხრის დასაწესებლად. ხმოსნებმა ყურადღება მიაქციეს აგრეთვე იმას, რომ მედროგეებმა ძალიან აუწიეს ფასს საქონლის გადასაზიდ-გადმოსაზიდად.

✦ **პრინცი** ამას წინად კავკასიაში ჩამოვიდა საქსონიის პრინცი მორიცი, პროფესორი, რომელმაც გაიცნო სომხები, იყო ეჩმიაძინში, დაათვალიერა იქაური ნაშთები და ეხლა ხან დაბრუნდა ტფილისში და შეუდგა ქართველების წარსულისა და აწმყოს გაცნობას. პრინცი, სხვათა შორის, გუშინ წ. კ. საზოგადოების გამგეობაში იყო და დაათვალიერა ხელთნაწერები და ისტორიული ნაშთები.

✦ **ტრამვაი ნაძალადევში**. 20 სექტემბერს ტექნიკოს ხმოსნების კრება უნდა მოხდეს ტფ. ქალაქის გამგეობაში. უნდა განიხილონ საკითხი ნაძალადევში ელექტრონის ტრამვაის გაყვანის შესახებ. უსახელო საზოგადოებას ორი წლის ვადა ჰქონდა გზის გასაყვანად, ვადა თავდება, მაგრამ საზოგადოება, როგორც ეტყობა, მუშაობას ჯერ არა ფიქრობს.

✦ შაბათს, 15 სექტემბერს, ძმ. ნიკიტინების თეატრ-ცირკში არ შესდგა ქართული წარმოდგენა და კონცერტი იმ მიზეზის გამო, რომ წარმოდგენის დღეს საღამოს 7 საათზე ცეცხლი წაეკიდა იმ შენობას, სადაც ეწყო ელექტრონის მანქანები. ქართული წარმოდგენა და კონცერტი იმავე პროგრამით და იმავე მსახიობთა მონაწილეობით დანიშნულია შაბათს, 22 სექტემბრისთვის. იმ პირთ, ვისაც ბილეთები უკვე შეუძენია 15 ენკენისთვისთვის, უფლება აქვთ დაესწრონ წარმოდგენას 22 ენკენისთვეს ძმ. ნიკიტინის თეატრ-ცირკში.

✦ რედაქციამ მიიღო სასურათო ჟურნალის „ნაკადულის" მეთვრამეტე ნომერი (მცირე წლოვანთათვის). შინაარსი ამ ნომრისა: „პაწია მარიამს", ლექსი შიო მღვიმელისა; „ამაღლების არიფანა", მოთხრობა ცქვიტისა; „ძრუ მკითხავი", თარ. ს. გოგლიჩიძისა; „სიმ-ჩენი, კორეული ზღაპარი, თარ. ნ. წინამძღვრიშვილისა; „ვისთვის მწიფდება ხილი", ვაგნერისა, თარგ. ან. ამილახვრისა; ნარევი, სახუმარო გამოცანები, გასართობი, ამოცანა, გამოცანა, რებუსი და ახსნა.

✦ 17 სექტემბერს, საღამოს 9 საათზედ, არგუტინსკისა და გიორგის ქუჩის შესართავთან უცნობმა კაცმა სამჯერ გაისროლა რევოლვერი. არავის ვნება არ მოსვლია.

16 სექტემბერსპ საღამოს 10 საათზედ, ანდრეევის ქუჩაზე ჩხუბი მოუვიდათ სიმონ ფანცხოლაშვილსა და სტეფანე სარუხანოვს. ფანცხოლაშვილმა სარუხანოვი დანით დასჭრა გვერდში. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. დამჭრელი დააპატიმრეს.

✦ **შეცდომის გასწორება**. გუშინდელი ფელეტონი („ილია ჭავჭავაძე, როგორც მგოსანი"), ძალიან არეულად არის დაბეჭდილი. ლექსი, რომელიც დაბეჭდილია მეოთხე და მეხუთე სვეტზე, უნდა დაბეჭდილიყო მეშვიდე სვეტზე. მესამე სვეტი ასე თავდება: „ამას ჰკიცხავდა მგოსანი თავის მშვენიერ ლექსში „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი". ამას უნდა მისდევდეს მეექვსე სვეტის ის ადგილი, რომელიც ასე იწყება: „წინად უკვე აღვნიშნეთ" და სხვა. მეოთხე და მეხუთე სვეტზე დაბეჭდილი ლექსი უნდა იყოს მეშვიდე სვეტზე, სადაც ამ ლექსის თავია: „ერთხელ მე და პაპა ჩემი ერთ ადგილს შევიყარენით".

გუშინდელ ნომერშივე ახალ ამბად შეცდომით დაბეჭდილია, რომ უმაღლეს კურსებზე ლექციებს ყველანი ქართულად კითხულობენო. უნდა იყოს—რუსულად კითხულობენ.

## სამგლოვიარო დეპეშები და წერილები

ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო რედაქციას კიდევ მოუვიდა შემდეგ ადგილებიდან და პირთაგან სამგლოვიარო დეპეშები და წერილები:

**დეპეშა**—ჩიტაში მცხოვრებ ქართველთა მონდ—ით დავით თავზარაშვილისგან.

**წერილები**: რევაზ ფავლენიშვილისგან ბაქოდან, ს. ჭანიშვილისგან ბაქოდან, სოფ. ანდრიაწმინდელთა (ახალც. მაზრა) მონდ—ით მღვ. ალექსანდრე ზედგინიძე, ხ. სავანელთა (შორაპ. მაზრა.) მონ—ით მღვ. ს. ქავთარაძე, ს. ლასურელთა მონდ—ით ტ. გელოვანი, პავლე კალანდაძესგან იალტიდან, მღვდ. მიხეილ თამარაშვილისგან ქ. რომიდან, დ. ოქუმელთა მონდ—ით ივ. გეგიძის და სხ.

**პანაშვიდები** გადაუხდიათ: ს. ლასურისში, საღოლაშენში, სავანეში, ანდრიაწმინდაში, დ. ოქუმში და სხ.

# პატარა ფელეტონი

## ორი მთავრობა

როშფორი თავის მემუარების ერთ ადგილას ამბობს: პრინციპიალურად სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ სიკვდილით დასასჯელია ის მშობლები, რომელნიც პატარა ბავშვს ღია ფანჯარასთან დასტოვებენ უპატრონოდო.

როშფორი დიდი მოტრფიალეა პარადოქსებისა და მაგარ-მაგარ სიტყვებისა. მაგრამ ამ პარადოქსში ის ადამიანური, ჰუმანური აზრია გატარებული, რომ ყველაზე მძიმე დანაშაული ის დანაშაულია, რომლის ობიექტი პატარა ბავშვია.

ამ მოკლე ხანში საფრანგეთში სწორედ ასეთი საზიზღარი და შემაძრწუნებელი ბოროტ-მოქმედება მოხდა: ვინმე სოლეიანმა თავის ნაცნობ და ახლობელ ოჯახში ცამეტის წლის გოგო გააუპატიურა და შემდეგ მოჰკლა. დემოკრატის საშინელმა ბოროტ-მოქმედებამ მთელი საფრანგეთი ააშფოთა და სასამართლომაც სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა საზიზღარ ბოროტმოქმედს. დიდი წრეები საფრანგეთის საზოგადოებისა მეტად კმაყოფილი იყო სასამართლოს დადგენილებით და მოელოდა, რომ იგი ასრულებულიც იქნებოდა: ბავშვის გამხრწნელი და მკვლელი სიბრალულს არავის გულში არ იწვევდა. მაგრამ სოლეიანი სიკვდილით არ დაუსჯიათ: პრეზიდენტმა ფალიერმა ეს სასჯელი საუკუნო კატორგად შეუცვალა.

რესპუბლიკის მთავრობა და მოწინავე პოლიტიკური მოღვაწენი არ იყვნენ საზოგადოების წუთიერ გულისთქმასა და გულისწყრომას; პალატაში უკვე წარდგენილია პროექტი სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ და მთავრობას არ უნდოდა, რომ მისი მოქმედება წინააღმდეგი ყოფილიყო მისგანვე წამოყენებულ პრინციპისა. სიკვდილით დასჯა ფაქტიურად უკვე მოსპობილია საფრანგეთში და დღეს თუ ხვალ ფორმალურადაც გაუქმდება საფრანგეთის დემოკრატიის სასახელოდ.

ნაკლებ შეგნებული ნაწილი საფრანგეთის საზოგადოებისა მეტად უკმაყოფილო დარჩა მთავრობის ასეთ მოქმედებისა და დემონსტრაციებიც კი გამართეს ქუჩებზე, მაგრამ რესპუბლიკის მთავრობა მტკიცედ ადგას პრინციპს გზას და დღესვე იქცევა ისე, როგორც ხვალ კანონისაგან ექნება დავალებული.

რუსეთში? რუსეთში წინ უსწრობენ საფრანგეთის რესპუბლიკის მმართველთ: ამწიოკებლებს, გერცენშტეინისა და მზგავსების მკვლელებს, მოხუცების, ქალებისა და ბავშვების მტარვალებს არც კი ასამართლებენ: თავისუფლად დაათარეშებენ თვალუწვდენ რუსეთის სივრცეზე და თუ შეცდომით გაასამართლეს და კანონისამებრ სასჯელი გადაუწყვიტეს, მეორე დღეს პურიშკევიჩისა და დოკტორ დუბროვინის თხოვნით, სასჯელი ეპატიებათ აუცილებლად.

მართალია, ოცდა რვა თვის განმავლობაში (1905 წლის თებერვლიდან 1907 წლის ივნისამდე) სიკვდილით დასჯის 2381 კაცი (ამათგან გაუსამართლებლად დახვრეტილი დამსჯელ რაზმთაგან 1264 კაცი), მაგრამ ესენი ხომ პოლიტიკურ დამნაშავენია და არა ამწიოკებლები და ქალებისა და ბავშვების მოძალადენი. ამნისტია და პატიება ამ უკანასკნელთ ეკუთვნით რუსეთის ძირითად კანონების ძალით და ძირითად კანონების დარღვევას ხომ ვერ მოვთხოვთ რუსეთის გამგებელთ, კანონების უმწიკვლო აღმასრულებელთ!

# ხ ო ლ ე რ ა

**ნიჟნი-ნოვოგოროდი** 11 სექტემბერს ხოლერით ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2, გუბერნიაში სენის თავის ჩენიდან ავად გახდა 379, გარდაიცვალა 174.

**სარატოვი** ქალაქში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 2; მაზრებში ავად გახდა 19, გარდაიცვალა 13.

**ომსკი**. ქალაქში ავად გახდა 26, გარდაიცვალა 14.

**სამარა**. ქალაქში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 5.

**სემიპალატინსკი**. ოლქი ხოლერის მხრივ საშიშად გამოაცხადეს. ხელ ახლად ავად არავინ არ გამხდარა. სულ გარდაიცვალა 2. ოთხი კაცი მორჩა.

**ტომსკი**. გუბერნია ხოლერის მხრივ საშიშად გამოაცხადეს.

# პროვინციის ცხოვრება

**გურია**. შიმშილი და გაჭირვება გურიაში მატულობს. სისასტიკემ და დასჯამ უკანასკნელი დღუმა გამოსტაცა აქაურ გლეხობას. ხშირად შეჰხვდებით ახლა ისეთ გლეხს, რომელსაც საჭმელი სიმინდი არა აქვს. წინად ხალხი ჯარიმის გადასახდელად ფუთ სიმინდს ათ შაურად ჰყიდდა, ახლა თავის მიერ გაყიდული სიმინდი მანეთად უნდა იყიდოს ჩარჩ ვაჭრებისაგან. ბევრი ამ ჟამად ხილით იკვებება. ამ მიზეზით ავადმყოფობა ძლიერ გახშირდა. ოზურგეთში ყოველ დღე შეჰხვდებით 15—20 გლეხს. ზოგი ექიმთან მირბის, ზოგი ფერშალთან—არიქა მიშველე, ბოგში ავათ მყავსო.

წრევანდელი მოსავალი მეტად ცუდია. შიმშილობას ფეელაფერმა ხელი შეუწყო: სიმინდი თავის დროზე ვერ დაითესა; შემ-

ლის შემდეგ უპოვნიათ ძეძვიან-ეკლიანი, უზარ-მაზარი და ყოვლად უვარგისი ადგილი, ესე 1000 დესეტინა. სახელმწიფო ადგილი ყოფილა ეს ძეძნარი (რუსულად: დერეჟ-დერევო), აუღიათ იჯარით რვა წლით. ვადა იჯარისა თავდება 1908 წლის პირველ აპრილს. დესეტინაზე იჯარის ფასს აძლევენ 39 კაპეიკს.

ქართველები დამდგარან სოფ. სტარი აკსაიში, მდინარე იამანზე, ხასავ-იურტიდან 12 ვერსზე. გარშემო სულ ჩაჩნების და ინგუშების სოფლები ყოფილა. სტარი აკსაიში დაბინავებულა შემდეგში 13 კომლი ხახოლი (გადასახლებული ქართველები ას ეძახიან მალოროსებს). ჩვენ ემიგრანტებს გაუკეთებიათ მეხუთედ ახლები და შესდგომიან მუშაობას. შვიდ წელიწადში გაუწმენდიათ და გაუსუფთავებიათ 590 დესეტინა საყანედ და 10 დესეტინა საბოსტნედ. მამულსაც ამშვენიერებდნენ და თან იჯარასაც იხდიდნენ, ეგონათ, აქედან ვილა აგვყრისო.

ამ ჟამად სტარი აკსაიში 47 კომლი ქართველია, სადაც ითვლება 194 სული მამრი და 155 მდედრი. მართალია, ჩვენ სოფელს იქაური მთავრობა „გრუზინსკი პოსელენიეს" ეძახის, მაგრამ სოფელი არ დაგვიმტკიცეს და ნაცვლის არჩევის ნება არ მოგვცესო. ბევრი ვეცადეთ დაემტკიცებინათ სოფლად, ვითხოვეთ ქართველი მღვდელი, მოვითხოვეთ ქართული სკოლა, მაგრამ ვერას გავხდითო. სამღვთო წესის შესასრულებლად ხასავიურტიდან ჩამოგვყავდა რუსის მღვდელიო. ამ კილოზე წუწუნობენ აკსაელი ქართველები.

წრეულ ივლისის თვეში გარდახვეწილ ქართველობას თავზე მეხი დაეცა. ტფილისიდან მივიდა ბრძანება გადმოსახლებულთა გამგეობისაგან,—რადგან თქვენ ტფილისის გუბერნიის სახაზინო ვლეხები ხართ, თერგის ოლქში უფლება არა გაქვთ ყოფნისა, მანდედან უნდა აიყაროთ, ვინაიდან მომავალ 1908 წ. პირველ აპრილს კანტრაქტის ვადა გითავდებათ და ტფილისის გუბერნიაში დაბინავდეთო, მთავრობა აქ მოგიზომავთ სახაზინო მიწებსაო.

ცხელი ტყვია ისე ვერ დაჰკოდავდა ამ საცოდავ გარდახვეწილთ, როგორც ამ ბრძანებამ მოუკლა გული. 600 დესეტინის გაწმენდა სულ ცოტა 15000—20.000 მ. ღირს და ამოღენა ამაგზე ხელის აღება უსასტიკესი უსამართლობაა. მეექვსედ მოწყობა და ბინის გაჩენა 35 წლის განმავლობაში მარტო უპატრონო ქართველს შეუძლიან.

არა, სულ რომ ლონდონისა და სტოკჰოლმის კონფერენციებზე არ ვიქუხოთ და ვიჭექოთ, ერთი აქაც დაიქუხონ და დაიჭექონ ი კურთხეულებმა! ეგები გაწყრეს ღმერთი და იმათ ქუხილს და ჭექას ან სეტყვა, ან წვიმა მოჰყვეს!

მწარედ დაღონებულნი და დაძმარებულნი ჩამოვიდნენ ძველ აკსაელი ქართველები ტფილისში (სულ სამი კაცი იყო) და არზით მიმართეს ნამესტნიკს, ნუ გამოგვყრით ყელს, ნება მოგვეცით მოვხნათ-მოვთესოთ ჩვენი ოფლით მორწყული ადგილებიო, ძლივს ბინა გავიჩინეთ და ეხლა სად უნდა წავიდეთო. მთხოვნელებს გამოუცხადეს, არზას განვიხილავთო. „დელეგატებმა" შეიარეს კოჯრის ქუჩაზედაც, სადაც მოთავსებულია გადმოსახლებულთა დამხმარებელი დაწესებულება. იქაც დაჰპირდნენ: აკსაიზე თქვენი დარჩენა არ შეიძლება და აქ ტფილისის გუბერნიაში მოგცემთ მამულსაო.

ასე დაპირდნენ, მაგრამ აყრითკი აყრიან აკსაელ ქართველებს და მერე ახალ ადგილს მისცემენ თუ არა, ეგ მხოლოდ ალაჰმა უწყის. ა.—ძე.

დეგ ამინდი არ დაუდგა; როცა მზე იყო საჭირო წვიმა მოდიოდა, ხოლო როცა წვიმა—გვალვა იდგა.

ციხეები სავსეა ტუსაღებით. იქაც ავადმყოფობამ იჩინა თავი. იქ, სადაც ხუთი კაცის ადგილია, 25 ზის. ყოველ დღე ემატება ტუსაღთა რიცხვს, ძლივს გაიმეტა ადმინისტრაციამ ფული და იქირავა ერთი პატარა ნოტიო სახლი და იქ გადაიყვანა რამდენიმე ტუსაღი და ამას წინად დაპატიმრებული გამოპარული სალდათები, რიცხვით 60-ცამდე კაცი.

ცემა-ტყეპა ჴურიაში სენად გადაიქცა. დღე ისე არ გაივლის, რომ ვინმე არ დაიჭირონ და არ გაამათრახონ. ინგუშები და პოლიციელები თავიანთ ნებაზე დათარეშობენ. 9 სექტემბერს დ. მ—ძემ დაიჭირა ლიხაურელი ჭელიძე, ისე სცემა, რომ გადარჩენას ეჭვობენ. მიზეზი არ იციან. 8 სექტემბერს მაიდანში ერთმა ინგუშმა ძალზე სცემა ერთ კაცს. ფული მომეციო, ეთქვა. კაცს უარი განუცხადებია. ამისთვის დაუწყო ცემა. 9 სექტემბერს ერთმა ინგუშმა დაუძახა მეეტლეს, ჩაჯდა და უთხრა, გასწიო. მეეტლე არ წასულა, რადგან სხვისაგან უოფილა დაჭერილი. ინგუშმა ძალზე სცემა და წაიყვანა. იმავე დღეს ძალზე დამთვრალიყო ერთი პოლიციელი და ვიღაც კაცს მოსაკლავად გამოსდევნებოდა. ძლივს გადაარჩინეს. ასეთი ამბები ხშირია.

30 აგვისტოს აქედან ქუთაისში საგუბერნიო ციხეში ეტაპით გაჰგზავნეს 28 კაცი.

ამ კვირია აქ 2000 პლასტუნს ელიან. ოფიცრები უკვე მოვიდნენ. —ქხა.

---

**ქ. თელავი.** კვირას, 9 სექტემბერს, ილია ჭავჭავაძის დასაფლავების დღეს, თელავმა სამგლოვიარო სახე მიიღო. ამ დღეს წირვა და პანაშვიდი დანიშნული იყო ქართველ და სომხის ტაძრებში. ჯერ სომხის სამღვდელოებამ თავის საკათედრო ტაძარში წირვის შემდეგ გადაიხადა პანაშვიდი, რომელსაც ხალხი ბლომად დაესწრო.

ამავე დროს ქართველთა ტაძარში ხალხი ნელნელა იკრიფებოდა. მოვიდნენ მთელ ბაზრის ამქრები თავიანთ უსტაბაშებით და საამქრო ბაირაღებით, რომლებიც ძაძით შეემოსნათ. მოვიდნენ აგრეთვე ქალაქის თვითმართველობის ხმოსნები თავიანთ მოურავით, დაწესებულებათა უფროსები და მოხელეები, ყველა სასწავლებლის მოსწავლენი მასწავლებლებით და მთელი თელავის საზოგადოება, განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა და წოდების. მოვიდა სომხის სამღვდელოებაც.

წირვა დაიწყო 11 საათზე, ხოლო გათავების შემდეგ 12 საათზე ეკლესიის ფართო ეზოში დაიწყეს პანაშვიდი. ეზოშივე სიტყვების წარმოსათქმელ ტრიბუნას ზემოდ მოსჩანდა განსვენებულ პოეტის დიდი სურათი, გვირგვინ გარშემოხვეული. რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვეს. პანაშვიდის დროს დამსწრეთ უფასოდ ურიგებდნენ წ. კ. გ. საზოგადოების მიერ ამ დღისთვის საგანგებოდ გამოცემულ ილიას რჩეულ ლექსებს.

როგორც სოფლებიდამ ამბავი მოვიდა, ამ დღეს ბევრგან გადაუხდიათ პანაშვიდი ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად. —ლი.

---

**სუჯუნა.** (სენაკის მაზრა). ისედაც მოუსავლობით დაზარალებულ საზოგადოებას უბედურება ეწვია. ხუთი დღეა, რაც აქ მოჰკლეს პოლიციის წევრი დრიმი (დიმიტრი) გუცია. ამის გამო ხალხი ეკლესიის გალავანში ჰყავთ დაპატიმრებული და სახლში სადილად წასვლის ნებასაც არ აძლევენ. სწორედ იმ დროს, როდესაც სიმინდის ტეხაა საჭირო, გვეუბნებიან, თქვენზე ამდენი ჯარიმაა შემოწერილი და უნდა გადიხადოთო, თუ არ გადაიხდით, ეგზეკუციას ჩაგიყენებთო. ვის შეუძლიან ამდენ გადასახადის გადახდა იმ დროს, როცა მუშაობის ნებასაც არ გვაძლევენ. გლეხი.

## თეატრი და ხელოვნება

**ოპერა.** მეორე წარმოდგენა საოპერო დასისა სახაზინო თეატრში პირველზედ უკეთესი გამოდგა. „ევგენი ონეგინ"-ში მომღერალი არტისტები უფრო დახელოვნებულნი და სცენის კარგი მცოდნენი აღმოჩნდნენ. პირველობა ონეგინის როლის აღმასრულებელს ბ-ნ პავლოვსკის ეკუთვნის; მას აქვს საკმაოდ ძლიერი, მოქნილი, გრძნობა-მეტყველი ხმა; თვალსაჩინოდ ეხერხება ხმა მიბნედილი მღერა. არც მაღალ ფარდებში აკლია მის ხმას ძლიერება; ეს არის მხოლოდ, რომ საშუალო ფარდებში ხმა ნაკლებად უღერს. მშვენიერი დიქცია აქვს. თამაშობითაც არა უშავსრა, ბუნების მგზნებარეობაც ეტყობა; ესკი უნდა შევნიშნოთ, რომ გრძნობათა გარეგნად გამოსათქმელად იგი სახეს ისე ამოძრავებს, რომ მანჭვა-გრეხას უფრო ჰგავს.

ქ-ნი ოკუნევა (ტატიანა), ეტყობა, უნარიანი არტისტი ქალია; დრამატიული გაპიროვნება ტატიანას გულის-თქმათა მარჯვედ ეხერხება. ჰანგთა იერის ცვალებადობით მღერა, რაც აუცილებელი თვისებაა კარგის მომღერალისა, ქ-ნ ოკუნევას ეხერხება. მხოლოდ თვით ხმა, მართალია საკმაოდ ძლიერი, არა ჰხვდება მსმენელის სულსა და გულსა; მას აკლია სიცხოველე, მგზნებარეობა, სინარნარე და სიტკბოება. უამისოდ კი სიმღერა ვერ აღძრავს ადამიანში სულთა ჟღერას, ნერვების ღიზინს.

ბ-ნი საიანოვი (ლენსკი) კვლავ მოეწონა საზოგადოებას. იგი ნამდვილი ლირიკული ტენორია. ხმა დაბალსა და საშუალო ფარდებში საკმაოდ ძლიერი აქვს, მაღალში-კი, ცოტა არ იყოს, ამოძახილი ეკუმშება და ძაფივით უწვრილდება.

დანარჩენ მომღერალთა შესახებ მხოლოდ ის ითქმის, რომ საერთო ანსამბლს ხელს არ უშლიდნენ. ანსამბლი-კი (საერთო წყობილება) კარგი იყო. წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო. ი.

# რუსეთი

**პარტიების ცხოვრებიდან.** მოსკოვში მცხოვრებ ლატიშებს, ესტონელებს, გერმანელებს, პოლონელებსა და ფინლიანდელებს გადაუწყვეტიათ არჩევნებში „კადეტებს" მიემხრნენ.

— საბოლოოდ გადაწყდა, რომ „კადეტების" საიმპერიო კრება მოხდება არჩევნების გათავების შემდეგ, ე. ი. ოქტომბერში.

— „კადეტთა" პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ცენტრალურ კომიტეტის წევრისა და აგრარულ კომისიის თავმჯდომარის, აწ განსვენებულ მუხანოვის მაგივრად აირჩია ი. პეტრუნკევიჩი.

**1000-მდე მუშის დაპატიმრება.** ამას წინად ლოძში მუშებმა მოჰკლეს მექარხნე ზილბერშტეინი. მთავრობამ ამის გამო დააპატიმრა 1000-მდე მუშა—ქალი და კაცი. აქედან 8 კაცი და 1 ქალი ჩამოახრჩეს, მესამედს ცივ ქვეყნებში გზავნიან, დანარჩენს პოლონეთიდან ასახლებენ.

**უადგილო მასწავლებლები.** საერო განათლების სამინისტროს მიერ შეკრებილ ცნობებით ამ ჟამად მთელ რუსეთში 20000, ზე მეტი მასწავლებელი უადგილოდ არის დარჩენილი.

**სინიდისის თავისუფლება.** სინოდმა ბრძანება გამოსცა, რომელიც სამხედრო პირებს—სალდათებსა და აფიცრებს უკრძალავს სარწმუნოების გამოცვლას. ეს უბრალო ბრძანება ძირიან-ფესვიანად სცვლის 17 ოქტომბრის მანიფესტს, სადაც გამოცხადებულია სარწმუნოების სრული თავისუფლება.

**ვიბორგის საქმე.** სასამართლო ვიბორგის საქმის გარჩევას აპირებდა წრეულს შემოდგომაზე, ეხლა კი ეს საქმე გადაუდვიათ მომავალ წლის გაზაფხულისთვის. ამ რიგად, 169 საუკეთესო წარმომადგენელი პირველ სათათბიროსი კიდევ 10 თვის განმავლობაში ხელ-ფეხ შეკრული იქნება: მათ არ ექნებათ უფლება სათათბიროში, ერობაში და რაიმე სხვა არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა, მთავრობის ნება დაურთველად გადავიდნენ ერთ ადგილიდან მეორე ადგილზე, შევიდნენ სახელმწიფო სამსახურში და სხ. საქმე, ცხადია, განგებ არის გაჭიანურებული.

**რა უჯდება ხალხს გენ.-გუბერნატორები?** წრეულს გენ.-გუბერნატორებისა და მათი კანცელარიების შენახვა თითქმის ერთი მილიონი მანეთი ჯდება. კავკასიის სანამესტნიკო კანცელარიის შენახვა ჯდება 163,342 მან., ვარშავის გენ.-გუბერნატორის კანცელარიისა—126,233 მან., ვილნოსი—45,400 მან., კიევისა—56993 მ., მოსკოვისა—52,563 მ., ამიერ ამურისა—74,400 მან., ირკუტსკისა—78,566 მ., ამურისა—42500 მ., გარდა ამისა ჯამაგირებად ეძლევათ: კავკასიის ნამესტნიკს 60000 მ., ვარშავის გენ.-გუბერნატორს 38000 მ., მოსკოვისა 36000 მ., კიევისა—24000 მ., ვილენისა 24000 მ., ამიერ ამურისა—33828 მ., ამურის 18000 მ., ირკუტსკისა—22000, სამხრეთ სამთო რაიონის გენ.-გუბერნატორს—1200 მ., ბალტიისა—24000 მან., კრონშტადისა—12000 მ., ვარშავის გენ.-გუბერნატორის თანაშემწეს 10000 მ. კავკასიის ნამესტნიკისას 12000 მან.

**პოლიციის გაძლიერება.** ლოძის ადმინისტრაციისა და მექარხნეთა კრებამ გადასწყვიტა ლოძის პოლიციას მიემატოს 1000 კაცი. მათი შენახვა წელიწადში დაჯდება 480000 მან., რომელსაც ვაჭრები და კაპიტალისტები გადაიხდიან.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### რ უ ს ე თ შ ი.

17 სექტემბერი.

**ოდესა.** საერო განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა ოდესის უნივერსიტეტის პროფესორს კამენსკის, სამსახურს თავი დაანებოს. მიზეზი ის არის, რომ კამენსკიმ რამდენისამე წლის წინად ბერლინის მუზეუმიდან სხვა და სხვა ძვირფასი საბოტანიკო კოლექცია წამოიღო სანათხოვროდ და მიუხედავად გერმანიის ელჩის მრავალ გზის გახსენებისა, უკან არ დააბრუნა. სამინისტროს აზრით, ასეთის საქციელის ჩამდენი შეუძლებელია უნივერსიტეტის პროფესორად დარჩეს.

18 სექტემბერი.

**ლოძი.** 16 სექტემტემბერს საღამოთი ნოვომეის ქუჩაზე მძარცველები თავს დაესხნენ აფთიაქის მაღაზიას. მძარცველებს პატრულები გამოუდგა. ერთი მოჰკლეს, მეორე შეიპყრეს.

**ვარშავა.** მოსტოვოი ქუჩაზე მოჰკლეს უბნის ზედამხედველი.

**მინსკი.** სოფ. სტოლინაში ღამე ცეცხლმა გაანადგურა 100 სახლი.

**ლოხვიცი.** სოფ. დუხონოსოვკელებს თავი მოაბეზრა გამუდმებულმა ძარცა-გლეჯამ და მალადობამ. სოფლელები შეიკრიბნენ და მთავრობის დაუკითხავად სახლი გაუჩხრიკეს ერთ ერთ სოფლელს, სადაც დაჰხვდათ ორი უცნობი და აღმოაჩინეს იარაღი. ორთავენი შეიპყრეს, ერთი გაიქცა, მეორე მოჰკლეს.

**კუსტანაი.** მეორე დღეა ძლიერა სთოვს.

**მარიუპოლი.** ტრეგუბოვის და გოფის წისქვილის მუშებს ანგარიში გაუსწორეს. მუშები ხელფასის 20% მომატებას თხოულობდნენ.

**სევასტოპოლი.** ბოგდანოვის სახლში აღმოაჩინეს არა ლეგალურ ლიტერატურის საწყობი, ასაფეთქებელი მასალა ყუმბარების გასაკეთებლად, იარაღი და აუარებელი პატრონა.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** გორბატოვის მაზრის სოფ. პოლინაში ყუმბარა ესროლეს სტრაჟნიკების სადგომ სახლს. ფანჯრები ჩაილეწა, კაცთაგან არავინ დაშავებულა.

**ოდესა.** ოდესის გრადონაჩალნიკი ნოვიცკი ოდესის და ოდესის მაზრის გენერალ გუბერნატორადაც დაინიშნა.

**ოდესა.** ფოსტის ქუჩაზე დასჭრეს სასტუმროს პატრონი მასიუკოვი, რადგან ანარქისტებს ფული არ მისცა.

**მოსკოვი.** შეიპყრეს ინჟენერი ვინოგრადოვი, რომელიც შეიარაღებულ აჯანყების დროს თვალ-საჩინო როლს თამაშობდა.

**პერმი.** ალაპაევის ქუჩაზე ლადეიშჩიკოვის სახლში ყუმბარა აფეთქდა. მძიმედ დაიჭრნენ ლადეიშჩიკოვი და ბეზსონოვი. ისინი ყუმბარას აკეთებდნენ.

სამხედრო სასამართლომ ერთ მაწანწალას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. მაწანწალამ სატუსაღოში ერთი პატიმარი მოჰკლა, რადგან უკანასკნელმა გაქცევის დროს ხელი შეუშალა.

**ჩერნიგოვი.** 15 სექტემბერს სადგურ ნოვოზიბკოვოში მატარებლის წასვლის შემდეგ 7 კაცი შეიჭრა დეპოს კანტორაში. შეიპყრეს მანტიორი და მუშები, გასტეხეს შკაფი, სტოლები და კანტორკები, მაგრამ ფული ვერ იპოვნეს. დეპოს უფროსმა წინ და წინ თავს უშველა და ფულიც თან წაიღო.

**ახხაბადი.** კიზილ-არვატში ხელოსანთა სობრანიეს ბუფეტში მოჰკლეს ოტსტავნოი ურიადნიკი აპოშნანსკი. იქ დამსწრეთ მკვლელი არ დაასახელეს. ყველანი დააპატიმრეს.

### ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი

**პეტერბურგი.** 17 სექტემბერს გლეხებს მიემატა 19 ამომრჩეველი: 1 კადეტი, 4 კადეტების თანამოაზრე, 6 მემარჯვენე, 4 მემარცხენე, 1 მემარცხენედ თავის თავის მაღიარებელი, 1 უცნობი. გლეხებს მიემატათ რწმუნებულები 1513: სამი რუსთა კავშირის წევრი, 11 კადეტი, 27 ს.-დემოკრატი, 16 ლატიში ნაციონალისტი, 15 ლატიშთა რეფორმის პარტიისა, 88 თავისს თავს მონარქისტების მომხრედ ასახელებს, 661 მემარჯვენედ, 151 ზომიერად. 213 მემარცხენედ, 106 პროგრესისტად, 4 უკიდურეს მემარცხენედ, 58 უპარტიოდ, 139 უცნობი.

წვრილ მემამულეებმა კიდევ აირჩიეს 312 რწმუნებული: 2 ოქტომბრისტია, 3 კადეტი, 1 ს.-დემოკრატი, 223 ნაროდოვცი, 2 მონარქისტთა მომხრედ თავისს თავის მაღიარებელი, 60 მემარჯვენე 3 ზომიერი, 2 პროგრესისტი, 2 უპარტიო, 14 უცნობი.

### უ ც ხ ო ე თ შ ი

17 სექტემბერი.

**სენ-ჟამონი** (საფრანგეთი). სოციალისტთა საარჩევნო საოლქო კრებაზე მინისტრმა ბრიანმა სიტყვა წარმოსთქვა. მინისტრმა სთქვა: სოციალიზმი და რევოლიუცია ერთმანეთში არ უნდა აურიოთ. სოციალისტები ყოველ წამს მზად არიან დაიცვან საფრანგეთი, როცა მას საფრთხე მოევლინება. სხვაფრივ წარმოდგენა შეუძლებელია: მალადობით მუშები ვერაფერს მოივებეს; პირ-იქით, აიძულებენ მთავრობას რეაქციონურ ზომებს მიმართოსო. მინისტრის სიტყვა მოიწონეს, კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია ანტიპატრიოტულ თეორიის წინააღმდეგ.

**ბარლედიუკი.** ექსპრესი ჩქარ მატარებელს დაეჯახა. ექსპრესის ორთქლმავალი დაიმსხვრა, ტენდერი და ორი საწოლი ვაგონი გაფუჭდა, მაშინისტი მოკვდა. უფროსი კონდუქტორი და რამდენიმე მგზავრი დაიჭრა, მიმოსვლა აღადგინეს 16 სექტემბერს საღამოთი.

**ორანი.** დღემდე 12 კაცი გახდა ავად შავი-ჭირით; ოთხი გარდაიცვალა. ამბობენ, შავი ჭირი გემს მოჰყვა ინდოეთიდანაო·

**ჩამბოლი.** ოსმალეთის ჯარის მიერ დაჭერილ სპარსეთის ოლქში მივიდნენ პორტას დელეგატები, ინგლისის ქირმანშაჰელი ელჩი და რუსეთის ურმიელი ელჩი. თეირანის მთავრობამ თავისს სტამბოლელ ელჩს-მანდიო-გამოუცხადოს უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომელნიც შუამავლობას კისრულობენ სპარსეთ-ოსმალეთს შორის, რომ გამოძიებიდან არა გამოვა რა; სპარსეთი ჰხედავს რა ზიფათს (არარატიდან მოკიდებული ურმიამდე ადგილები ოსმალოს ხელში გადასვლას), წინააღმდეგია ოსმალეთ-სპარსეთის გამოძიებისა და მომხრეა საქმის სამედიატორო სამართალში გადასვლისა. სახელმწიფოთა ელჩები სამედიატორო სამართალს არ ემხრობიან, რადგან უნდათ სცადონ ასე საქმის მორიგება.

**თეირანი.** შაჰის ცნობით და ნებართვით 25 სარდარი, ექიმი და წარჩინებული სპარსელი მოვიდა მეჯლისში და განაცხადა გადაწყვეტილი გვაქვს უკიდურესობამდე დავიცვათ კონსტიტუცია და პარლამენტიო. მეჯლისის სხდომა პარლამენტისა და შაჰის საპატიოდ „ვაშას" ძახილით დაიხურა,

მაიდელ-მულკი დანიშნეს ვაჭრობის მინისტრად, ნეიერ-მულკი საერო განათლების მინისტრად.

ნაციონალურ ბანკში ფულის შეტანას ვერავინ ვერა ჰბედავს.

**ბელგრადი.** გაზეთ „სტაბჩინა"-ს რედაქტორი მილან ნოვაკოვიჩი და სამსახურს გარეშე მყოფი ჟანდარმის პოლკოვნიკი მაქსიმე ნოვაკოვიჩი სისხლის სამართლის საგამომძიებლო ოთახიდან მეთვალყურის სადგომში შეიპარნენ. მოიტაცეს ორი თოფი, ორი რევოლვერი პატრონებით და ფანჯრიდან ქუჩაში სროლა ასტეხეს. უკანასკნელთ ტყვიით თავი მოიკლეს. დაჭრილია ორი ჟანდარმი.

რედაქტორ-გამომცემელი
ე. ავალიშვილი.


# განცხადებანი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

ი ყ ი დ ე ბ ა

## ილია ჭავჭავაძის ბიუსტი

**ფასი 1 მანეთი**

წმინდა მოგება გადადებულია ილია ჭავჭავაძის ფონდისათვის. (3—6.—3)

# ТЕТРАДИ

Для прямого русскаго письма, სახმარებელი იაკობ გოგებაშვილის Русское Слово-სთან. ისყიდება თბილისში გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. ფასი 3 კაპეიკი. ვინც ათობით იყიდის, ორ-კაპეიკ ნახევრად დაეთმობა რვეული. (5—519—3)


# ა ნ გ ა რ ი შ თ ა მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.

**1 აგვისტოს 1907 წელს.**

აქტივი (აქვს).

| | | | |
|---|---|---|---|
| I. კასსა, ნაღდი ფული. . . . . | | 8080 | 87 |
| II. სახელდახელო ანგარიში ქუთ. გან. აზ. დ. კ. ბანკში. . . . . | | 1129 | 63 |
| III. სარგებლ. ქაღალ. . . . . . | | | |
| ა) სათადარიგო თანხ. ანგარ. მ. | 300,— | | |
| ბ) საზოგადოების ანგარ. „ | 702,50 | 1002 | 50 |
| IV. განაღდება თამასუქებისა, ≠რა ნაკლებ ორის ხელის მოწერით . | | 42610 | 70 |
| V. განაღდება სარგ. ქაღალდ. კუპონები და სხვა . . . . . . | | 1540 | — |
| VI. პროტ. წასული თამასუქ. (უზრუნ. ყოფ. თანხ. იხ. გ. პას.) . . . | | 4007 | 13 |
| VII. სესხი გაც. გირავ. . . . . . | | | |
| ა) სარგ. ქაღალდები უზრ. ყოფ. სარგ. . . . . . . „ | 130,— | | |
| ბ) სარგ. ქაღალდები არა უზრ. ყოფ. მთავ. მიერ. . . . „ | 12448,36 | | |
| გ) შავ. ქვაზ. (2626000 ფ.) „ | 54858,05 | 68436 | 41 |
| დ) საქონელზედა . . „ | 1000,— | | |
| VIII. კორესპონდენტ. . . . . | | | |
| ა) იმათ. ანგარ. . . . მ. | 1662,69 | | |
| ბ) საზოგ. „ . . . . „ | 230,40 | 1933 | 19 |
| IX. გერბ. ქაღ. და თამ. . . . . | | 339 | 50 |
| X. გარდამავ. თანხა. . . . . . | | 3052 | 27 |
| XI. მოწყობა-გამართვა საზოგად. . | | 2486 | 52 |
| XII. მოვალ. საზოგ. . . . . . | | 418 | 43 |
| XIII. ხარჯი დასაბრ. . . . . . | | 695 | 59 |
| XIV. ზარალი 1905 წ. . . . . | | 201 | 42 |
| XV. მიმდინარე ხარჯი . . . . . | | 6265 | 72 |
| **ბალანსი.** | | **142279** | **78** |

(მართებს) პასსივი.

| | | | |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რაიცა შესდგება 10% შემ. საწ. ფულით 220 წევრთა მიერ, მიცემულ ვალდებ. რაოდ. საზ. წინაშე. . . . . . . . . | | 19850 | — |
| II. დასაბრ საწევრო ფული, თანახმად §§ 12 და 14 წეს. საზოგ. . | | 208 | 29 |
| III. თანხა: . . . . . . . . | | | |
| ა) სათადარიგო , . . . მ. | 752,40 | | |
| ბ) ამორტიზაც. . . . . . „ | 769,53 | | |
| გ) პროტ. წას. თამასუქების უზრ. საყ., შემდგ. 1906 წ. მოგებიდ. . . . . . „ | 5119,23 | 6641 | 16 |
| IV. შემოტ. ფული: . . . . . | | | |
| ა) სახელდ. ანგ. . . . მ. | 44408,62 | | |
| ბ) ვადით . . . . . . „ | 18673,31 | | |
| გ) უვადოთ . . . . . . „ | 700,— | 64081 | 93 |
| V. განაღდ. თამას. საზოგ. მიერ ქუთ. განყ. აზ. დ. კ. ბანკში. . . . | | 4725 | — |
| VI. საგანგებო სახ. ანგარ. უზრ. ყოფ. | | | |
| ა) სარგებლ. ქაღალდ. მან. | 700,— | | |
| ბ) შავის ქვის საზოგად. . „ | 22434,75 | 23134 | 75 |
| VII. სესხი აღებ. საზ. მიერ შავი ქვის გირავნობით . . . . . . . | | 5633 | 90 |
| VIII. კორესპონდენტ. . . . . | | | |
| ა) იმათის ანგ. (Loro). . „ | 1884,82 | | |
| ბ) საზგ. ანგარ. (Nostro) . „ | 3442,29 | 5627 | 18 |
| IX. გადასაგზ. შემოტ. ფული. . . | | 200 | — |
| X. გარდამავ. თანხა. . . . . . | | 1978 | 67 |
| XI. სარგებელი გარდ. . . . . . | | 652 | 15 |
| XII. 5% სახელ. გარ. . . . . . | | — | — |
| XIII. წმინდა მოგება. 1906 წ. . . | | — | — |
| XIV. შემოსული სარგებელი, გამოკლებით გასულისა . . . . . . | | 9546 | 75 |
| **ბალანსი.** | | **142279** | **78** |

თავმჯდომარე გამგეობისა თავ. კ. გ. აბაშიძე.
ბუჰგალტერი სოფ. ტარუაშვილი.

დირექტორები: თ. ვ. ჯაყელი. ა. ზ. გალუსტოვი